ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5382373

ნომერი: AR1815357

თარიღი : 01.04.2021

გაცემის თარიღი : 26.04.2021

გაცნობის თარიღი : 26.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირის II ჩიხი N5ა; ქალაქი თბილისი , ი.ჭავჭავაძის გამზირი , II ჩიხი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ აბაშიძე პ/ნ 01007000077
- თბილისი ივ.ტურგენევის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. დიზაინერული სტუდია "ნიკოლო&ვაჟები" კოდი: 205208210

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 01 აპრილს №AR1815357 განცხადებით მომართა ნიკოლოზ აბაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 02 მარტის №5310661 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 02 მარტის №5310661 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის II ჩიხი №5ა, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი II ჩიხი №5-ში არსებულ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.196) დადასტურდა ღობის მოწყობის შესაძლებლობა.
2021 წლის 01 აპრილის №AR1815357 განცხადებით მოთხოვნილია 2021 წლის 02 მარტის №5310661 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას იმ საფუძვლით რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს უკანონოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლი განსაზღვრავს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლებს, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სამსახურს უფლება აქვს ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონიერი აქტი, რომელიც, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით უნდა იყოს კანონიერი, ხოლო ამავე კოდექსის მე–60 პრიმა მუხლით, განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, კერძოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ამასთან, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლით განსაზღვრული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 02 მარტის №5310661 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
დამატებით გაცნობებთ, რომ 2021 წლის 31 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა “მზიური 2010”-ის თავმჯდომარის ნუკრი ნიაზაშვილის წარმომადგენლის თინათინ გუგუნავას მიერ წარდგენილ იქნა №19/01210901136-01 ადმინისტრაციული საჩივარი სამსახურის 2021 წლის 02 მარტის №5310661 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ამავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნით. განგიმარტავთ, რომ ამ ეტაპზე ადმინისტრაციული საჩივარი განხილვის პროცესშია. სამსახური იმოქმედებს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.